**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია**

**ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია**

# თოლენჯის განძი

თოლენჯის განძი, V–VI სს. სასანური ვერცხლის მონეტების (71 ც.) განძი. 1923 აღმოჩნდა სოფ. თოლენჯში (თიანეთის მუნიციპალიტეტი). შეიცავს ფეროზის (459–486; – 2 ც.), ვალარშის (484–488; – 1 ც.), ხოსრო I-ის (531–579; – 6 ც.) სახელით სპარსეთის სხვადასხვა ზარაფხანაში (სტაჰრი, აჰურამაზდ-არტაშირანი, ისპაანი, ნიშაბური, დინავარი, რეი, ამოლი, ბალხი, გუნდი-შაპური, არდაშირ-ხვარე, ფირუზკერტი, ჯორჯანი, მერვი, გერათი, სუზი, არმენია) მოჭრილ დრაქმებს. თ. გ. ჩამარხული უნდა იყოს VI ს-ში. ინახება საქართვ. ეროვნ. მუზეუმის ს. ჯანაშიას სახ. საქართვ. მუზეუმში.

*ლიტ.*: დ უ ნ დ უ ა  გ., ჯ ა ლ ა ღ ა ნ ი ა  ი., ქართული ნუმიზმატიკური ლექსიკონი, თბ., 2009.